საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თაქთაქიშვილი შალვა მიხეილის ძე



შ. თაქთაქიშვილი

თაქთაქიშვილი შალვა მიხეილის ძე (27. VIII. 1900, სოფ. ქვემო ხეითი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 18. VII. 1965, თბილისი), კომპოზიტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1949). 1928 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (ს. ბარხუდარიანის საკომპოზიციო კლასი). 1937-იდან იყო თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი (1941-იდან – პროფესორი). ხელმძღვანელობდა საოპერო კლასს, დირიჟორობდა საოპერო სტუდიის სპექტაკლებს. იყო „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების” ერთ-ერთი ორგანიზატორი (1922). ნაწარმოებები: ოპერები – „დეპუტატი” (1939, დაიდგა 1940) და „ოთარაანთ ქვრივი” (1942); საბავშვო ოპერები – „ყვავილთა სამყარო” (1922), „პირველი მაისი” (1924), „შემოდგომა” (1925), „განთიადი” (1923, დაიდგა 1926); ბალეტი „მალთაყვა“ (1932, დაიდგა 1937); „სიმფონიეტა” (1954), „საზეიმო უვერტიურა” (1944), კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის (1932), ორი სიმებიანი კვარტეტი [ამ ჟანრის პირველი თვალსაჩინო ნიმუშები ქართ. მუსიკაში (1931, 1933)], 2 საფორტეპიანო ტრიო (1944, 1946), რომანსები, სიმღერები და სხვ.

ლიტ.: ხ უ ჭ უ ა პ., შალვა თაქთაქი შვილი, თბ., 1962.

გ. ტორაძე